

## ცრუ და უმეცარი

იყვნენ ორნი ძმანი. ერთი მეფეს ახლდა და ერთი შინ იჭირვოდა. მეფეს რომელი ახლდა, ცრუ იყო და მრავალს აძლევდა. შინ რომელი იყო, უცოდინარი იყო და ძმას ეტყოდის:

- მე შენის ტყუვილის თქმით დარჩომას არა ვჯერვარ: თუცა შენ გაძლევს მეფე, განა მე ტყუვილს ვერ მოვიგონებ დ მეფესთან ვთქვა და მეც მომცეს წყალობა?═

ცრუ ძმა ეტყოდა: მე რასაც ვიტყვი, იამება და შენ ბევრს გიზიდავ და არას განაღვლებ და არა გყვედრი, შენდა იყავო!

მან არ დაისულა, მივიდა მეფესთან და მოახსენა:

- ჰაერთა შიგან ძაღლთა ყეფა მესმის!

ენება მეფესა მოკვლა მისი: ესეთი ტყუვილი ვით მკადრაო!

მოვიდა ძმა მისი მტყუვარი და მოახსენა:

- ეგე, ძმა ჩემი, მწყემსია და ბრიყვი, თვარა ტყუვილი არ იქმნება, ამად რომე არწივი ძაღლის ლეკვს აიტაცებდა ჰაერთა სიმაღლეთა შინა და მისი წკავწკავი შემოესმოდა. სიბრიყვითა მას ვერ გაუსინჯავს და ძაღლის ყეფად მოგახსენა.

იამა მეფესა, აღარ მოკლა და კაბა ჩააცვა.

მოვიდა, ძმამ უთხრა: სიკვდილს მოგარჩინე, აწ შინ წადი, სამეფო სიტყვა არ იციო!

მან რა კაბა ჩაიცვა, უდიდესი ტყუვილი მოინდომა. მოვიდა მეფესთან და მოახსენა:

- ერთს ირემს ისარი შევსტყორცე, ყური და ფერხი წარვკვეთე, დაეცა, მჟავით გარაოდ შეიწვა და ვჭამე.

ბრძანა კიდევ მოკვლა მისი მეფემან, დიდად იწყინა ტყუვილი იგი. შეეწყალა ძმასა, წარსდგა და მოახსენა:

- ძოღანვე მეფობასა თქვენსა ვკადრე, უცოდნელი და ავმთქმელია-მეთქი. ისარი კარგად იცის. ირემი ყურს თურე იფხანდა, ისარი ესროლა და ორივ წარკვეთა. ირემი დაეცა. ისრის პირი ხასრისა იყო. თურე მუნ ტალი დებულა, ისრის პირი სცემია, ცეცხლი დაუკვესებია, ჩალას მოსდებია, ირემი გაურუჯავს: მუნ მსხმოიარე მოცხრის ხე მდგარა, ის ზედ დასწყლეტია, იგი უჭამია, მჟავვ გარაო ჰგონებია.

მოარჩინა ძმა და განუტევა.

- ეს ლეონ ცრუა თუ არა, ამისი სიტყვა მეფეს იამების და შენ რას ჰშლი?═ არაკად თქმულა: პატრონსა შენსა უყვარდეს გველი, შენგან უბესა ჩასმას ველიო.

მეფეთა თანა მყოფთა სამნი საქმენი უნდა სჭირდეთ:

პირველად: რომელიც კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს,  
თვარა სიყვარულით არ შეისმენს და შენ დაზიანდები;

მეორედ: ვისიც სიტყვა იამება, შენც უქო, თვარა თუ უძაგო,  
არ ეძაგება და შენ გასცრუვდე;

მესამედ: ამას სცდილობდე, რომელიც მისი გულითადია, იგი  
გაიერთო, თვარა დღე დაგიმოკლდება.

თქვა რუქამ არაკი: